საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/93

ქ. ბათუმი 08 მაისი, 2023 წ.

2023-2024 სასწავლო წლისათვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების

შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ,,ERASMUS + საგრანტო პროექტისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის (05.05. 2023 წლის №503858) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.,,2023-2024 სასწავლო წლისათვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პორტუგალიის უნივერსიტეტებში (მინიოს, ევორას და ავეიროს) საერთაშორისო მობილობის მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტის გამოსავლენად **გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები:**

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა დოკუმენტაციის მიღება <u>მასპინძელი უნივერსიტეტის</u> ელექტრონულ ბმულზე https://formularios.reitoria.uminho.pt/index.php?r=survey/index&sid=289839&lang=en 2023 წლის 08 მაისიდან 2023 წლის 31 მაისის ჩათვლით.

ბ) ინგლისური ენის დონის (B1/B2) დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად, სტუდენტებმა მიმართონ რექტორს განცხადებით (მიუთითონ ტესტირების დონე - B1/B2) სტუდენტური პორტალის მეშვეობით არაუგვიანეს 22 მაისის 15:00 საათისა და თან დაურთონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

გ) ტესტირება/გამოცდა ინგლისურ ენაში (B1/B2) - 2023 წლის 24 მაისი, 11:00 საათი.

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს -ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მერამ ხალვაში**